ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1175

15 ივნისი 2017 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) ნებადართული გზების სიის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) ნებადართული გზების სია დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) ნებადართული გზების სქემატური რუკა (დანართი N2).
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

N	სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლა) ნებადართული ქუჩები
1	თბილისის ქუჩა
2	ცურტაველის ქუჩა
3	სპორტის ქუჩა
4	სუმგაითელი მეტალურგების ქუჩა
5	დუმბაძის ქუჩა
6	მესხიშვილის ქუჩა
7	ლეონიძის ქუჩა
8	ტაშკენტის ქუჩა
9	ფალიაშვილის ქუჩა
10	კლდიაშვილის ქუჩა
11	ჩერკასკის ქუჩა
12	ქუთაისის ქუჩა
13	ფიროსმანის ქუჩა
14	მოდებაძის ქუჩა
15	აღმაშენებლის ქუჩა (მოდებაძის ქუჩიდან ახალ ხიდამდე)
16	ლომოურის ქუჩა
17	მესხიშვილის ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩის გადაკვეთამდე (მე-12 მკრ-ის და მე-16 მკრ-ის შორის მდებარე გზა)
18	დონეცკელ მეტალურგთა ქუჩა
19	მელიქიშვილის ქუჩა
20	სანაპიროს ქუჩა
21	გიორგი ნიკოლაძის ქუჩა და მშენებელთა ქუჩიდან გაგარინის გადასახვევამდე
22	ჭავჭავაძის ქუჩა
23	თავგორაშვილის ქუჩა
24	ჟიული შარტავას გამზირი, ხალხთა მეგობრობის გამზირი, მერაბ კოსტავას გამზირი N20-მდე (ცენტრალური გზა ქალაქის შემოსასვლელიდან მერიის ადმინისტრაციულ შენობამდე)